განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
## საბანკო პროცესების მართვა
## სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
**14 თებერვალი, 2020**

დასკვნის წარდგენის თარიღი
**31 მარტი, 2020**

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საბანკო პროცესების მართვა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში 0204 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან გოგოლაძე, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PMO, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი აბულაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „საბანკო პროცესების მართვა“ 2019 წლის 25 იანვარს (აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმით №8) მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის და 6 თვის ვადით (გადაწყვეტილება #32 ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრიდან). პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 05 სექტემბრის #740 დადგენილებით, და მოდიფიცირებულია 2019 წლის 22 ოქტომბრის #01-05-04/318 დადგენილებებით. პროგრამა ECTS საფუძველზეა შედგენილი, სადაც 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია (4 სემესტრი) და 120 კრედიტს მოიცავს, რომელთა განაწილება შემდეგია: სასწავლო კომპონენტი – 90 კრედიტი (მათ შორის პრაქტიკის ორი არჩევანი – თითოეული 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი – 30 კრედიტი, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას. სასწავლო სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. IX კვირა ეთმობა შეალედურ გამოცდებს, XVII კვირა – თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, ხოლო XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდები. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2020 წლის 14 თებერვალს მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, კორპ. 6.
ვიზიტის წინა დღეს, 14 თებერვალს, ექსპერტთა ჯგუფის წევრები: მაია ბარამიძე, ლევან გოგოლაძე და გიორგი აბულაძე, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში შეიკრიბა და ვიზიტისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა (მოსაზრებების გაზიარება თვითშეფასების ანგარიშის და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესახებ, პრობლემატური სფეროების დადგენა და სხვა). შეხვედრის პროცესში მოხდა იმ აუცილებელი კითხვების შეჯერება, რომლებიც ვიზიტის მიმდინარეობისას დაისვა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით.
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამუშაო შეხვედრა პროგრამის მონაწილე მხარეებთან 14 თებერვლის 10:00 საათიდან დაიწყო. სამუშაო დღის წესრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სწავლების დეპარტამენტის უფროსი, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორა და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით.

კურიკულუმის რუკაში ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის, რეკომენდებულია აღნიშნული რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემდგომი გადამუშავება – არსებული კურსების გადახედვა/გაღრმავება ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორებიცაა მაგალითად:

– ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება;
– ფინანსური ინსტიტუტების მართვა;
– სტრატეგიული მენეჯმენტი;
– ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
– მენეჯერული ეკონომიკა.

რეკომენდებულია გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი („საბანკო ლოჯისტიკა“, „რისკოლოგია“) საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კურიკულუმის რუკაში  აღმოჩენილია ხარვეზები სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა

რეკომენდებულია პროგრამამ  შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები; სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია;  ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებში ჩართულობის  და საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდების გზების მოდიფიცირება და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათი მეტი აქტიურობისთვის.

რეკომენდებულია სტუდენტური პორტფოლიოების პროგრამაზე მორგება ან სხვა მექანიზმის შემუშავება მაგისტრანტების დასაქმების უზრუნველსაყოფად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

რეკომენდებულია ღონისძიებების გატარება (დაფინანსება) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა მოიმატოს პროგრამის აქტივობამ  საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და  რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასწავლო კურსებისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა პროგრამას საშუალებას მისცემს ძირითად და არჩევით საგნებს დაამატოს ის სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლა აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

გადაიხედოს და უცხოური წყაროებიდან შეივსოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, რათა სტუდენტები გაეცნონ თანამედროვე კვლევებსა და დარგის უახლეს მიღწევებს.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა სასურველია მეტი დრო დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს გაუმჯობესების ღონისძიებებს, გამოყენებული კვლევის მეთოდების ასახვას და სტუდენტთა მიერ შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებას.

მნიშვნელოვანია, სტუდენტების თანამედროვე სერვისებით უზრუნველყოფა, ამ შემთხვევაში, საგნის დასკვნითი შედეგის ვებ-გვერდის ან აპლიკაციის საშუალებით გასაჩივრება.

მიზანშეწონილია პროგრამული ბიუჯეტის დეტალური წარმოდგენა (კონკრეტული მუხლების სახით)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და რჩევების საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის („საბანკო პროცესების მართვა“) ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელდა:

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.

- მოხდა პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება;
- შემცირდა სწავლის შედეგების რაოდენობა, ისინი გაზომვადი და შეფასებადია;
- შემუშავდა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების დამაკავშირებელი რუკა;
- დაიგეგმა (და უკვე განხორციელდა) ღონისძიებები სწავლის შედეგთა მიღწევის შესაფასებლად, დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით, რასაც სისტემატური და რეგულარული სახე ექნება.

სტანდარტი 2 – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.

- დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
- პროგრამის სტრუქტურამ და შინაარსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ძირითად და არჩევით კურსებს დაემატა შემდეგი საგნები: ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; შედარებითი საკორპორაციო სამართალი; ფინანსური სისტემების მართვა; საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი. კვლევითი კომპონენტი შემცირდა 30 კრედიტამდე, რის ხარჯზეც გაიზარდა აღნიშნული სასწავლო კურსების რაოდენობა. არსებულ პროფესიულ პრაქტიკას – „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“ დაემატა საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში – მეტად დაახლოვდა პროგრამის მიზანთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

- შემუშავდა სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკები;
- უსდ-მ შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება იგეგმება.

ცვლილებებზე დამატებითი ინფორმაცია დეტალურად არის მოცემულია თითოეული სტანდარტის მიხედვით.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად სამაგისტრო პროგრამის მიზნებმა ცვლილებები განიცადა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:<br>1. საბანკო ბიზნეს–პროცესების მოდელირების, ინჟინერინგის, მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა;<br>2. პროფესიული ღირებულებებისა და კვლევითი უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება ფინანსებსა და საბანკო საქმეში, რომელთაც<br>3. შეეძლებათ ფინანსებისა და საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება.<br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მიღწევადია და შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან, ისინი ლოგიკურად უკავშირდებიან პროგრამის სწავლის შედეგებს.<br>ამ მიზნების შესაბამისად 2019 წელს სამაგისტრო პროგრამაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ გამოცდასთან ერთად მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა (პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბარებს ენის გამოცდას ან წარმოადგენს B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს). ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის აქცენტმა საბანკო დისციპლინებიდან ზოგადფინანსური სასწავლო კურსების გაფართოება/გაღრმავების მიმართულებით გადაინაცვლა. ძირითად და არჩევით კურსებს დაემატა შემდეგი საგნები: ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; შედარებითი საკორპორაციო სამართალი; ფინანსური სისტემების მართვა; საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი. კვლევითი კომპონენტი შემცირდა 30 კრედიტამდე, რის ხარჯზეც გაიზარდა აღნიშნული სასწავლო კურსების რაოდენობა. არსებულ პროფესიულ პრაქტიკას – „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“ დაემატა საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.<br>პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე, რასაც დასაქმების მაღალი |

| |
|---|
| მაჩვენებლები ადასტურებენ: კურსადმთავრებულთა 95% მუშაობს, ხოლო 81% დასაქმებულია კვალიფიკაციის და პროგრამის მიზნების შესაბამისად.<br>მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, პროგრამა შემდგომ განვითარებას და დახვეწას საჭიროებს მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად. მიზანშეწონილია მეტად გაძლიერდეს საგნობრივი კონცენტრაციები ფინანსების მიმართულებით და მენეჯმენტის კუთხით – იმისათვის, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამართლებდეს თავის დასახელებას, საჭიროა პროგრამა წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ საბანკო დისციპლინებით, არამედ არასაბანკო სასწავლო კურსებითაც; რეკომენდებულია გაღრმავდეს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება, ფინანსური ინსტიტუტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, მენეჯერული ეკონომიკა. ასევე აუცილებელია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იცნობდეს IFRS სტანდარტებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება https://gtu.ge/AboutStu/regulation.php<br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია https://gtu.ge/AboutStu/Mission.php<br>• ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/bef/pdf/Debuleba/Debuleba_02.04.18.pdf<br>• შრომის ბაზრის კვლევა<br>• კურსდამთავრებულთა დასაქმების ანგარიშები და გამოკითხვა<br>• ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგები უკანასკნელი, 2018 წლის, აკრედიტაციის შემდეგ გადამუშავდა და მათი რაოდენობა 10-მდე შემცირდა. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან (120/ნ ბრძანების თანახმად, ვინაიდან პროგრამა შემუშავებულია ამ საკვალიფიკაციო ჩარჩოთი). ისინი მიღწევადი, გაზომვადი და შეფასებადია. სწავლის განახლებული შედეგები ძირითადად უზრუნველყოფენ იმ ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენას, რომლებიც, მოსალოდნელია, რომ სტუდენტს პროგრამის დასრულებისას ექნება. ეს შედეგები მოიცავენ: ცოდნა/გაცნობიერებას; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კვლევის, დასკვნების, სწავლის და კომუნიკაციის უნარებს; ასევე, პროფესიულ ეთიკას და პასუხისმგებლობას.<br>სტუდენტის მიერ ამ შედეგთა მიღწევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, და დამსაქმებლები. მათი გადამუშავებისას პროგრამამ ასევე გაითვალისწინა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც კონკრეტული კომპეტენციების სახით აღიწერა სწავლის შედეგებში.<br>ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამამ შეიმუშავა სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის, ასევე, სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები. თუმცა, ეს უკანასკნელი შემდგომ გადამუშავებას და დახვეწას საჭიროებს (მაგალითად, მოცემული რუკით, სასწავლო კურსი „შედარებითი კორპორაციული სამართალი“ სწავლის ყველა შედეგს განამტკიცებს, რაც რეალობას არ შეესაბამება და დაზუსტებას მოითხოვს).<br>პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია – სტუდენტის მიერ შედეგების მიღწევის შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების პირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ხოლო არაპირდაპირ მეთოდად – დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები. შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი. ამდენად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევადობა სისტემატურად და სხვადასხვა შემფასებელთა მიერ ხორციელდება.<br>ინტერვიუების საფუძველზე დაზუსტდა შედეგების შეფასების მექანიზმების |

| |
|---|
| ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რომლითაც ფასდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა სტუდენტთა მიერ. აკადემიური მოსწრების შეფასებისას გამოყენებულია ECTS-ის რანჟირების სკალა, რომელიც ნორმალური (გაუსის) განაწილების პრინციპს ეფუძნება. ამ დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში ხდება სწავლის შედეგების და მათი მიღწევის გზების გადახედვა. 2019 წელს სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური მოსწრების მონაცემთა შეგროვების და ანალიზის შედეგად დაფიქსირდა მცირე პროცენტული გადახრები სამიზნე ნიშნულებიდან. მდგომარეობის გამოსასწორებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეკომენდაცია გასცა ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო საათების გაზრდის საშუალებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“ (მოიცავს სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკებს)<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4)<br>• სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (დანართი 4)<br>• ინტერვიუები სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• კურიკულუმის რუკაში ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის, რეკომენდებულია აღნიშნული რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს როგორც საერთო სამაგისტრო, ისე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს საბანკო საქმესა და ინგლისურ ენაში (B2 დონე). ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები ამ გამოცდიდან თავისუფლდებიან. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები ქვეყნდება სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის მოთხოვნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა.<br>პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ „უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.<br>ინფორმაცია ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებგვერდებზე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აქვე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს პასუხები მიიღოს პროგრამაზე დაშვების პირობებსა და სხვა მისთვის საინტერესო საკითხებზე. შესაბამისად, მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს რა პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს მის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩარიცხვას პროგრამაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.<br>ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, ასევე მობილობის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“<br>• სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდი https://gtu.ge/Study-Dep/<br>• სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• ინტერვიუები ვიზიტის მიმდინარეობისას |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“ შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით. სწავლის შედეგების მიღწევადობა უზრუნველყოფილია ერთისმხრივ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით (საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება), მეორესმხრივ – პროგრამის სტრუქტურით და შინაარსით. პროგრამის შედგენისას ხელმძღვანელებმა შეისწავლეს როგორც ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგები, ისე გაითვალისწინეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები.<br>საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ECTS-ის ძირითადი მოთხოვნების საფუძველზე და 120 კრედიტს მოიცავს შემდეგი განაწილებით:<br>**სასწავლო კომპონენტი – 90 კრედიტი**, მასში შედის:<br>სავალდებულო კურსები – 70 კრედიტი<br>არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი<br>პრაქტიკა – 5 კრედიტი |

**კვლევითი კომპონენტი – 30 კრედიტი**: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია (4 სემესტრი), რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფინანსებში აღნიშნული 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები მოწოდებულია სტუდენტს გადასცეს სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა და უნარები. როგორც აღინიშნა, 2019 წელს პროგრამის სტრუქტურამ და შინაარსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის აქცენტმა საბანკო დისციპლინებიდან ზოგადფინანსური სასწავლო კურსების გაფართოება/გაღრმავების მიმართულებით გადაინაცვლა – ძირითად და არჩევით კურსებს დაემატა შემდეგი საგნები: ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; შედარებითი საკორპორაციო სამართალი; ფინანსური სისტემების მართვა; საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი. კვლევითი კომპონენტი შემცირდა 30 კრედიტამდე, რის ხარჯზეც გაიზარდა აღნიშნული სასწავლო კურსების რაოდენობა. არსებულ პროფესიულ პრაქტიკას – „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“ დაემატა საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში – მეტად დაახლოვდა პროგრამის მიზანთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აღნიშნული შესაბამისობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია კიდევ უფრო გაიზარდოს საგნობრივი კონცენტრაცია ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით, როგორც შინაარსობრივი, ისე კურსების სახელწოდებათა ცვლილების გზით. კერძოდ:

- გაფართოვდეს ფინანსური ანალიზის თემის შესწავლა, რათა სტუდენტი გაეცნოს ფინანსურ ანალიზსა და პროგნოზირებას არამხოლოდ საბანკო სექტორში, არამედ სხვადასხვა (მ.შ. ფინანსური) პროფილის ორგანიზაციებში;
- ასევე, საბანკო მენეჯმენტის თემა გაფართოვდეს ზოგადად ფინანსური ინსტიტუტების მართვით;
- მეტი ყურადღება დაეთმოს სტრატეგიული მენეჯმენტის შესწავლას და მიწოდებული ინფორმაცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კომუნიკაციის სტრატეგიების განხილვით;
- აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში საფუძვლიანად იცნობდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. ამ თემის ჩართვა შესაძლებელია შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში (ვთქვათ, „ფინანსური ანგარიშგება ბანკში“, სადაც მეტად მნიშვნელოვანია, მაგალითად, IFRS 9 – რეზერვირების მეთოდოლოგიის საკითხები);
- ასევე მნიშვნელოვანია მენეჯერული ეკონომიკის შესწავლა სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი/დარგობრივი კომპეტენციების გასაძლიერებლად.

გადასახედია ზოგიერთი საგნის სილაბუსი და მათი სწავლების მიზანშეწონილობა, (მაგალითად „საბანკო ბიზნეს ლოჯისტიკა“). საფუძვლიან გადახედვას საჭიროებს

ასევე „რისკოლოგიის“ სილაბუსი, რათა აღნიშნული სასწავლო კურსი შესაბამისობაში მოვიდეს საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან (მაგალითად, გაძლიერდეს აქცენტი საოპერაციო რისკებზე), გადასახედია კურსის სახელწოდებაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ – სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილება
- სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ http://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php?sphrase_id=236830
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ/ დაინტერესებულ მხარეებთან

**რეკომენდაციები:**

- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემდგომი გადამუშავება – არსებული კურსების გადახედვა/გაღრმავება ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორებიცაა მაგალითად:
  - ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება;
  - ფინანსური ინსტიტუტების მართვა;
  - სტრატეგიული მენეჯმენტი;
  - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
  - მენეჯერული ეკონომიკა.
- რეკომენდებულია გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი („საბანკო ლოჯისტიკა“, „რისკოლოგია“) საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასწავლო კურსებისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა პროგრამას საშუალებას მისცემს ძირითად და არჩევით საგნებს დაამატოს ის სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლა აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბანკო პროცესების მართვის 120 ECTS კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 90 კრედიტის ოდენობით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა.<br>სილაბუსის კომპონენტები ლოგიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს, მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა უმეტეს შემთხვევებში შესასწავლი თემატიკის/ სფეროს/ დარგის თანამედროვე მდგომარეობას ასახავს და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც აღინიშნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის ვიზიტის ფარგლებში გაკეთებული რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამამ შეიმუშავა სწავლის შედეგების მიზნებთან და სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკები. თუმცა კურიკულუმის რუკაში აღმოვაჩინეთ ხარვეზები სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმის თვალსაზრისით, რაზეც გავეცით რეკომენდაცია რუკის დაზუსტებისა და შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.<br>სილაბუსების გაცნობამ ცხადყო, რომ ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ქართულია ან ქართულად ნათარგმნი. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო კურსების უცხოური (ინგლისურენოვანი) ლიტერატურით და მასალებით გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ როგორც დარგის უახლესი მიღწევების გაცნობას, ისე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარებას.<br>ზემოთ უკვე ითქვა, რომ სასწავლო კურსებისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა პროგრამას საშუალებას მისცემს ძირითადი და არჩევითი საგნები შეავსოს სასწავლო კურსებით, რომელთა შესწავლა აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ბიბლიოთეკა https://gtu.ge/Library/<br>• ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ/ დაინტერესებულ მხარეებთან |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>• კურიკულუმის რუკაში აღმოჩენილია ხარვეზები სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• გადაიხედოს და უცხოური წყაროებიდან შეივსოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, რათა სტუდენტები გაეცნონ თანამედროვე კვლევებსა და დარგის უახლეს მიღწევებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას – „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“, რომელიც ხელს უწყობს მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზაცია/ განმტკიცებას და გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას. გარდა ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამას დაემატა პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (ფინანსები). ამით სტუდენტებს საშუალება მიეცათ არჩევანი გააკეთონ და პროფესიული პრაქტიკა გაიარონ როგორც ფინანსურ ინსტიტუტებში, ისე სხვა პროფილის ორგანიზაციათა საფინანსო დეპარტამენტებში.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ უსდ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/ მემორანდუმები საფინანსო და არასაფინანსო პროფილის ორგანიზაციებთან (მ.შ. საქართველოს ბანკების ასოციაცია, ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი, ავერსის კლინიკა, VTB ბანკი, საქართველოს ბანკი, Global Financial Group, საბანკო სწავლების ცენტრი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი – საფინანსო-საბიუჯეტო |

| |
|---|
| სამსახური და სხვ.), რაც სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.<br><br>კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი დოკუმენტაციაში წარმოდგენილი არაა. პროგრამა ამ კომპონენტში ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, რომელშიც მოცემულია მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა, კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია.<br>სამაგისტრო ნაშრომების შერჩევითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ მათგანში კვლევის მეთოდოლოგია ფრაგმენტულად ან საერთოდ არაა წარმოდგენილი; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში დიდი ადგილი უჭირავს სასწავლო კურსების სახელმძღვანელოებს; ნაკლებად იყენებენ სქოლიოს მოცემული ინფორმაციის წყაროების მისათითებლად.<br>პროგრამის და სამაგისტო ნაშრომების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გავარკვიეთ, რომ უსდ-მ შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება იგეგმება. თუმცა, ვერ დაასახელეს თანხვედრის რა პროცენტი ჩაითვლება მისაღებად ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის. ამდენად, ეს საკითხი ჯერჯერობით მხოლოდ ნაშრომის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაშია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)<br>• სტუ დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php?sphrase_id=236830<br>• სამაგისტრო თემები 2019 (დანართი 14)<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი – სტუ აკადემიური საბჭოს 01-05-04/86 დადგენილება (დანართი 15)<br>• პრაქტიკის ხელშეკრულებები (დანართი 8)<br>• ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ/ დაინტერესებულ მხარეებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები; სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი.<br>• დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა სასურველია მეტი დრო დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს გაუმჯობესების ღონისძიებებს, გამოყენებული კვლევის მეთოდების ასახვას და სტუდენტთა მიერ შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებას. |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აკადემიური პესონალის მიერ საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, სამუშაო ჯგუფები; დამატებით იყენებენ ელექტრონული რესურსით სწავლების მეთოდსაც. ეს მეთოდები მოიცავენ შესაბამის აქტივობებს – საგნის თავისებურებიდან გამომდინარე – დისკუსია/დებატები, ჯგუფური და თანამშრომლობითი აქტივობები, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თემატური პროექტის შემუშავება/ პრეზენტაცია და სხვ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.<br>პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)<br>• სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• სწავლების ფორმები და მეთოდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf<br>• ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ/ დაინტერესებულ მხარეებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამაში და წარმოდგენილ სილაბუსებში. შეფასება 100 ქულიანი სკალით ხდება და გულისხმობს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას. გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ადასტურებენ შეფასების სისტემის გამჭვირვალობას.<br>სტუდენტს ეძლევა საშუალება გაასაჩივროს დასკვნითი ქულა, თუმცა მხოლოდ ადმინისტრაციაში მისვლით და სააპელაციო განაცხადის შევსებით. სტუდენტები და კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ მეტად მოქნილი იქნებოდა, იმავე შესაძლებლობის ვებ- გვერდის ან აპლიკაციის საშუალებით განხორციელება.<br>სილაბუსების მიხედვით სრულადაა გათვალისწინებული საგნების სპეციფიკა და წარმოდგენილი მეთოდები საშუალებას აძლევს სტუდენტს ბოლომდე წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა-უნარები.<br>სტუდენტები საგნის დასაწყისში ეცნობიან სილაბუსს და შემდგომში ეძლევათ წვდომა.<br>სტუდენტები ადასტურებენ უკუკავშირის მიღებას საკუთარ აკადემიურ მოსწრებაზე, რაც მათ ძლიერი და სუსტი მხარეები დადგენაში ეხმარება. ასევე აღნიშნავენ აკადემიური პერსონალის მაღალ ინტერესს მათ სისუსტეებზე მუშაობაზე.<br>ნაშრომის დაცვის პროცესი საჯაროა და მონაწილეობს გარე შემფასებელი. როგორც კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, ვერანაირ დარღვევას იხსენებენ და ადასტურებენ ნაშრომის დაცვის პროცესის სრულ გამართულობაზე, რაც გულისხმობს კომისიური წესდების მიხედვით მიმდინარეობას. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზი<br>• სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• მნიშვნელოვანია, სტუდენტების თანამედროვე სერვისებით უზრუნველყოფა, ამ შემთხვევაში, საგნის დასკვნითი შედეგის ვებ-გვერდის ან აპლიკაციის საშუალებით გასაჩივრება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესების დაგეგვმასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია.<br>სტუდენტების აღნიშავენ, რომ სამუშაო დღის ნემისმიერ დროს იღებენ საჭირო კონსულტაციებს როგორც ადმინისტაციის, ასევე აკადემიური პერსონალისგან. სტუდენტები პირადი გამოცდილებიდან მრავლად იხსენებენ კონსულტაციებს სხვადასხვა მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით აკადემიურ პერსონალთან და მიიჩნევენ მას როგორც სრულყოფილს.<br>პროგრამაში ჩართული სტუდენტები უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით ინფორმირებულები არიან საერთაშორისო თუ ადგილობრივ ღონისძიებებზე, კონფერენციებზე, კვლევებზე თუ სხვადასხვა პროექტებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე. მიუხედავად ამისა, ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებენ ამ შესაძლებლობებს, რასაც გადატვირთული სამუშაო გრაფიკით ხსნიან. აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ნაწილისა და კურსდამთავრებულების აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით. მათი აზრით, გასაუმჯობესებელია სტუდენტის ინფორმირებულობის მიმართ მიდგომა და უნდა მოხდეს მათი მოტივაციის ამაღლება, რაც ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.<br>აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები, მათ შორის, სტუდენტებთან ინდივიდუალური სამუშაო. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ იღებენ/იღებდნენ სრულყოფილ საკონსულტაციო მომსახურებას. ასევე აღნიშნავენ GTU-table-ის საშუალებით ონლაინ კავშირს აკადემიურ პერსონალთან, რაც აადვილებს მათთან ინფორმაციის მიმოცვლას დღის ნებისმიერ დროს.<br>როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ნახონ აუდიტორიებისა და ლაბორატორიების დატვირთვა. ასევე, სახელისა და გვარის მიხედვით შესაძლებელია ლექციების განრიგის მოძებნა და სურვილის შემთხვევაში, მათი ავტომატური შეხსენება. გარდა ამისა, ელექტრონული ჟურნალის აპლიკაცია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სწრაფ გაცნობასა და სასწავლო კურსის პედაგოგთან შეტყობინების საშუალებით კომუნიკაციის დამყარებას. |

| |
|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტის კარიერულ განვითარებაზე და იყენებს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს, მორგებულს თითოეულ სტუდენტზე. პროგრამის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ინდივიდუალური გრაფიკის გარეშე ვერ შეძლებდნენ კარიერულ წინსვლას.<br>ვიზიტის პირობებში ასევე ვეწვიეთ ლაბორატორიას, სადაც ხდება თანამედროვე საბანკო პროგრამების სტუდენტებისთვის გაცნობა-შესწავლის პროცესი.<br>დამსაქმებლები ინტერვიუს დროს პირადი გამოცდილებიდან აღნიშნავდნენ, რომ პროგრამის სტუდენტების გარკვეული ნაწილი მომზადებულია და აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნებს. მათი აზრით, მეტად უნდა მოხდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მეცადინეობის ინტეგრაცია, რაც მაგისტრანტს სწავლის დასრულების შემდეგ სასურველ კადრად აქცევს.<br>უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პორტფოლიოების ერთიანი ბაზა, თუმცა სტუდენტები და დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ნაკლებად იყენებენ ამ სერვისს და თვლიან რომ გარკვეული მოდიფიცირებისა და პროგრამისთვის მეტად მორგების შემთხვევვაში გამოყენებადი გახდება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზი<br>• სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზი<br>• დამსაქმებლებთან ინტერვიუს ანალიზი<br>• GTU-tables და სტუდენტური პორტფოლიოების გაცნობა<br>• სტუ ვებ-გვერდი https://gtussg.ge/gtutables/attachment/web-gtu-tables/ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებში ჩართულობის  და საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდების გზების მოდიფიცირება და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათი მეტი აქტიურობისთვის.<br>• რეკომენდებულია სტუდენტური პორტფოლიოების პროგრამაზე მორგება ან სხვა მექანიზმის შემუშავება მაგისტრანტების დასაქმების უზრუნველსაყოფად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბანკო პროცესების მართვის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიცირებული ხელმძღვანელი ან საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელიც, რომლებიც შესაძლოა იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პროფესორები, მოწვეული ასოცირებული პროფესორები, ასევე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და ხელშეკრულების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულების კვალიფიციური, დოქტორის ხარისხის მქონე თანამშრომელი.<br>მაგისტრანტი თემის შერჩევამდე კონსულტაციას გადის სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან და იღებს რეგულარულ კონსულტაციებს, რომლის სიხშირეც ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.<br>მაგისტრანტები და ნაშრომების ხელმძღვანელები ადასტურებენ წესდების არსებობას, რომლის მიხედვითაც შეირჩევა ხელმძღვანელი. მაგისტრანტს შეუძლია საკვლევი თემის შეცვლა და უკმაყოფილების შემთხვევაში, ნაშრომის ხელმძღვანელისიც, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა.<br>მაგისტრანტები ადასტურებენ, რომ აქვთ რეგულარული კონსულტაციები ნაშრომის ხელმძღვანელთან საკვლევი თემისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე- კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, დისერტაციის წერის პროცესი და სხვა.<br>აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ორიენტირებულები არიან ნაშრომის რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებაზე და მრავლად იხსენებენ ფაქტებს, თუმცა საუბრობენ სამეცნიერო ღონისძიებებში აქტიურობის ნაკლებობაზე, რაც მათი აზრით სტუდენტზეა დამოკიდებული და ძირითადად მათი მხრიდან პასიურობითაა განპირობებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის დებულება<br>https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php?sphrase_id=236830<br>• საბანკო პროცესების მართვის პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზი<br>• აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 3)<br>• სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| შეფასება |
| --- |
| X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
| --- |
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მაგისტრატურის „საბანკო პროცესების მართვის“ პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 28-ს. აქედან 19 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 8 მოწვეული. კერძოდ: 8 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი და 9 მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია რომ წინა შეფასების პერიოდთან შედარებით გაზრდილია პროფესორების და ასოცირებული პროფესორების რაოდენობა, რაც უნივერსიტეტის მხრიდან ხარისხის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ძირითადად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით, რაც დასტურდება მათი აკადემიური მუშაობის შედეგებით ბოლო 5 წლის განმავლობაში.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. კერძოდ, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 27/41.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული
გამოცდილება, ბოლო 5 წლის სამეცნიერო საქმიანობით დასტურდება მისი გამოცდილება საბანკო-საფინანსო ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მისი მკაფიო ცოდნა და არგუმენტაცია პროგრამაში არსებული საგნების მნიშვნელობისა და მათი მიზანშეწონილობის შესახებ როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ასევე პრაქტიკული კუთხით.
პროგრამის სტუდენტებს ემსახურება 13 ადამიანისტრაციული და დამხმარე პერსონალი სწავლის პროცესის სათანადოდ მხარდასაჭერად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 3)
- სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. რის შედგადაც ხდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვა. უნივერსიტეტი ასევე სისტემატიურად ახდენს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. შეფასების შედეგები გათვალისწიებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას. საჭიროებისამებრ ხორციელდება ლექციებზე კოლეგიალური დასწრება, ხდება შეფასება, შედეგების ანალიზი და შესაბამის ლექტორთან კონსტრუქციული უკუკავშირი.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისია, რომელიც ახდენს პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასებას.<br>უნივერსიტეტში არსებული პროფესიული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. მაგალითად, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები, სწავლის შედეგების შეფასება და ა.შ. რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება.<br>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისთვის არსებობს აუცილებელი მატერიალური ბაზა – ბიბლიოთეკა, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.<br>წარმოდგენილი ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან ირკვევა რომ იგი საგრძნობლად გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, თუმცა ბიუჯეტის პროგრამული ჩაშლა (ფაკულტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2019 წლის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა) არ იძლევა იმის ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას, თუ რა თანხაა გამოყოფილი პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებისთვის, მათ შორის მათი მონაწილეობისათვის საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე, რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 3)
- პერსონალის პროფესიული განვითარება (დანართი 3)
- ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ღონისძიებების გატარება (დაფინანსება) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა მოიმატოს პროგრამის აქტივობამ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური რესურსით, რაც დადასტურდა აუდიტორიების, ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის დათვალიერებისა და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, როგორც მისი ფილიალი. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორია აღჭურვილია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით (Alta Software), რასაც საქართველოში მოქმედი ბანკები იყენებენ საოპერაციო საქმიანობისას. ლაბორატორიული კლასის დროს ხდება პროგრამაში მუშაობის სწავლება და ძირითად საბანკო საოპერაციო პროცესებში სტუდენტების დატრენინგება.

| |
|---|
| ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც ფიზიკური სახის, ასევე ელექტრონული წიგნებით. სტუდენტებს საშუალება აქვთ დისტანციურად მოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო პროფესიული ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პროფესიულ გამოცემებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების დათვალიერება<br>• სტუდენტებთან ინტერვიუ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ფაკულტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2019 წლის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა. წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ფაკულტეტის ბიუჯეტი. ექსპერტების შეფასებით 2019 წლის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები ძირითადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

| |
|---|
| თუმცა ფაკულტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული 2019 წლის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა, საჭიროებს მეტ დეტალიზაციას ხარჯების და რესურების განაწილების კუთხით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი<br>• ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაციასთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• მიზანშეწონილია პროგრამული ბიუჯეტის დეტალური წარმოდგენა (კონკრეტული მუხლების სახით) |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თვითშეფასების დოკუმენტის და შესაბამისი დანართების შესწავლით, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსთამთავრებულებთან და სტუდენტებთად შეხვედრის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ძირითადი ელემენტი, რომელსაც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.<br>ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ძირითადად ჩართულია ყველა რგოლი. თითოეულ დეპარტამენტში, მათ შორის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდანაც გამოყოფილია პირი, რომელიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმილ აქტივობაში, რომელიც ეხება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებას, მონაცემების შეგროვებას და პროგრამის განვითარების გეგმების დასახვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის.<br>მიუხედავად სამსახურის მუშაობის დადებითი შეფასებისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განმახორციელებელ მხარეებთან, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. ასევე აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლის შედეგების რუკის სიზუტეს და თანხვედრას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებს შორის, რაშიც ხარისხის სამსახურის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ”სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ”<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/<br>• საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი http://gtu.ge/quality/Files/Pdf/1125%20damtk%20cesi.pdf<br>• ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ოქმები<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf<br>• ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები;<br>• ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• უფრო მეტი ჩართულობა და მჭიდრო თანამშრომლობა პერსონალთან პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ფარგლებში. 2018 წლის ოქტომბერში განხორციელდა პროგრამის შეფასება აკრედიტაციის სამსახურის გარე ექსპერტების მიერ. შედეგად მათ მიერ შედგენილი შეფასება იყო შემდეგი: საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია V სტანდარტთან, მეტწილად შესაბამისობაშია I, III და IV სტანდარტებთან და ნაკლებად შესაბამისობაშია II სტანდარტთან. ფაკულტეტის ხელმძღვანელობას განესაზღვრა 1,5 წლიანი ვადა აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელიც სრულდება 2020 წლის ივნისში. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით უსდ-ს მიერ გაიწერა შესაბამისი გეგმა.<br>გარდა ამისა 2012 წლიდან დღემდე პროგრამის გარე შეფასება შემოიფარგლებოდა წელიწადში ერთხელ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. ასევე დაწესებულებამ გარე შეფასებისათვის გამოიყენა 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე განხორციელებულ იქნა შესაბამისი საჭირო ღონისძიებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება რომ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო პროცესების მართვა“ მონიტორინგი, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების, შესაძლო ცვლილებების და დასკვნების შემუშავება, მათი შესაბამისობა აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებთან. მიმდინარეობს ანკეტირებული გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად, სტუდენტების, კურსამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დარგის სპეციალისტების მოსაზრებების და რეკომენდაციების შესწავლა და არსებული პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის წარმომადგენლებისაგან. მათი მოვალეობაა სწავლა–სწავლების ხარისხის შეფასება, როლის შედეგად სამსახურის ხელმძღვანელი წერს დასკვნას და წარუდგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის და ასევე, შეფასების შედეგებს აცნობს ფაკულტეტის საბჭოს. რეაკრედიტაციის ფარგლებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი კომისიის მიერ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეფასებული იქნა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბანკო პროცესების მართვა“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და შემუშავებულ იქნა დასკვნები. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

| |
|---|
| შემუშავდა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც წარედგინა საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან<br>• თვითშეფასების დოკუმენტი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: **36**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მაია ბარამიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლევან გოგოლაძე

გიორგი აბულაძე